# ჭეშმარითად, ალლაჰს უყვარს ღვთისმოშიში, სულით მდიდარი და თავმდაბალი მსახური

გადმოცემულია სა'დ ბინ აბი ვაყყაასისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: გავიგონე ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობადა: «ჭეშმარითად, ალლაჰს უყვარს ღვთისმოშიში, სულით მდიდარი და თავმდაბალი მსახური».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ უზენაეს ალლაჰს უყვარს ზოგიერთი მისი მსახური. მათ შორისაა ღვთისმოშიში — ის, ვინც ემორჩილება ალლაჰის ბრძანებებს და თავს არიდებს მის აკრძალვებს. ალლაჰს ასევე უყვარს სულიერად მდიდარი ადამიანი — ის, ვინც დამოუკიდებელია ხალხისგან და არ საჭიროებს მათ, ვინც საკუთარი საკმარისობა იპოვა ყოვლისშემძლე და დიდებულ ალლაჰში და არ მიმართავს დახმარებისთვის არავის, მის გარდა. ასევე, ალლაჰს უყვარს მოკრძალებული, ანუ თავმდაბალი ადამიანი, რომელიც თავისი ღმერთის თაყვანისცემით არი დაკავებული, და იმით, რაც მას სარგებელს მოუტანს, და რომელსაც არ ადარდებს, თუ ვინმე იცნობს მას ან მასზე საქებარი და სადიდებელი სიტყვებით საუბრობს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5545